Bakhvi HPP

შპს ბახვი 2

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკა

გრემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკა დამტკიცებულია კომპანიის დირექტორის მიერ: გიორგი აბრამიშვილი

2025

შინაარსი

შესავალი 3

ზოგადი ნაწილი 3

პრინციპები 4

მოქმედების წესები 4

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა 5

დაუშვებელია 5

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპები 6

გარემოსდაცვით პოლიტიკასთან ინტეგრაცია 6

გარემოსდაცვითი სოციალური და მმართველობითი მიზნები, ძირითადი შესრულების მაჩვენებლები (KPIs) და ვადები 7

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი 11

შპს ბახვი 2
გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების პოლიტიკა

შესავალი

შპს "ბახვი 2" (შემდგომში - „კომპანია") გურიის რეგიონში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში, კერძოდ მდინარე ბახვისწყალზე ახორციელებს ჯამური 35.4 მგვტ დადგმული სიმძლავრის, ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე „ბახვი 2" ჰესის (ბახვი 2ა, ბახვი 2ბ) მშენებლობას სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2023 წლის 29 მაისის N241/ს ბრძანებით განსაზღვრული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების თანახმად. კომპანიის ინვესტორები არიან „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგი" (სი-სი-ი-ეიჩ), ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" და სხვა სპეციალიზებული ინვესტორები ავსტრიიდან და საქართველოდან. „კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის" ინვესტორები კი თავის მხრივ, არიან ცნობილი საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტები ამერიკიდან და ევროპული ქვეყნებიდან (მათ შორის - ევროპის საინვესტიციო ბანკი [EIB], ჰოლანდიის განვითარების ბანკი [FMO], ავსტრიის განვითარების ბანკი [OeEB] და სხვა). აღსანიშნავია, რომ ავსტრიული საინვესტიციო ფონდი „ილაგი" ფლობს მრავალფეროვან ბიზნეს პორტფელს რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში.

„ბახვი 2" ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა ხორციელდება მდ.ბახვისწყალზე ზღვის დონიდან 1 378-506 მ ნიშნულებს შორის. პროექტი ითვალისწინებს 2 სადგურის მოწყობას, ბახვი 2ა, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 11.6 მგვტ-ს და ბახვი 2ბ, რომლის დადგმული სიმძლავრე შეადგენს 23.8 მგვტ-ს.

„ბახვი 2ა" სადგური წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა, სადაც განთავსებულია ელექტროენერგიის გამომუშავებისთვის საჭირო ყველა ელექტრო და მექანიკური აღჭურვილობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა შეადგენს 311.55 მ-ს, ხოლო საპროექტო წყლის ხარჯი შეადგენს 4.6მ3/წმ-ს. საშუალო წლიური გამომუშავება იქნება 45.5 გვტ/სთ.

„ბახვი 2ბ" წარმოადგენს ბუნებრივ ჩამონადენზე მომუშავე ჰესს, რომლის შემადგენლობაშია სათავე ნაგებობა, სადაწნეო სისტემა და მიწისზედა ჰესის შენობა. ელექტროსადგურის სრული დაწნევა 551.2 მ-ია, ხოლო საპროექტო ხარჯი 5.3მ3/წმ. საშუალო წლიური გამომუშავება შეადგენს 92.8 გვტ/სთ-ს.

შპს „ბახვი 2" საკუთარ საქმიანობას წარმართავს საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების IFC-ისა და EIB-ის მიერ დადგენილი გარემოსდაცვით და სოციალურ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

ზოგადი ნაწილი

ენერგეტიკაში ინვესტიციები უნდა იყოს მდგრადი, რაც კომპანიების მხრიდან მოითხოვს ეთიკურ დამოკიდებულებას გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით საკითხებში.

მოცემული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობით პოლიტიკა შემუშავებულია გაეროს პასუხისმგებლიანი ინვესტირების პრინციპების, ასევე საერთაშორისო საფინანსო კორპორაციისა (IFC) და ევროპის საინვესტიციო ბანკის (EIB) გარემოსდაცვითი და სოციალური პრინციპებისა და სტანდარტების გათვალისწინებით.

შპს "ბახვი 2" პასუხისმგებლობას იღებს საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისი, გაზომვადი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინიციატივების განხორციელებაზე. აღნიშნული პოლიტიკა მკაფიოდ განსაზღვრავს ძირითადი შესრულების მაჩვენებლებს (KPIs) და პროგრესის მონიტორინგის ვადებს, რაც კომპანიის მდგრადი განვითარების უწყვეტ ძალისხმევაში

გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას უზრუნველყოფს.

შპს "ბახვი 2" ახორციელებს ყოვლისმომცველ გარემოსდაცვით პოლიტიკას, რომელიც სრულად შეესაბამება კომპანიის ESG ვალდებულებებს.

პრინციპები

შპს „ბახვი 2"-ის მიზანია:

- შეამციროს ნეგატიური ზემოქმედება და გაზარდოს სარგებელი გარემოსთვის, თანამშრომლებისთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის, საჭიროებისამებრ;
- მუდმივი წინსვლისკენ სწრაფვა და თანამშრომლების წახალისება გარემოსდაცვის, სოციალური საკითხებისა და მმართველობის სფეროებში მუდმივი გაუმჯობესებისკენ;
- საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისი საერთაშორისო სტანდარტების ეტაპობრივად განხორციელება, რეალისტური მიზნების დასახვა და მათი განხორციელების ვადების დადგენა.

მოქმედების წესები

შპს „ბახვი 2" ვალდებულია დაიცვას ყველა მოქმედი გარემოსდაცვითი კანონი, მათ შორის საერთაშორისო კონვენციები, რომლებიც რატიფიცირებულია მასპინძელი ქვეყნის მიერ. შპს „ბახვი 2" შექმნის და შეინარჩუნებს გარემოსდაცვითი და სოციალური საკითხების მართვის სისტემას ინვესტორების მოთხოვნებთამ შესაბამისობაში;

- შპს „ბახვი 2"-ის უმაღლესი ხელმძღვანელი პირი დანიშნავს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობის საკითხების მენეჯერს, რომელიც სხვა საკითხებთან ერთად, პასუხისმგებელი იქნება გარემოსდაცვითი მართვის სისტემის გამართულ ფუნქციონირებასა და შენარჩუნებაზე;
- შპს „ბახვი 2"-მა უნდა წარმოაჩინოს საუკეთესო პრაქტიკა დაინტერესებულ მხარეებთან მნიშვნელოვანი დიალოგის, კონსულტაციებისა და მონაწილეობის გზით ჰიდროელექტროსადგურის მდგრადობისა და წარმატების გასაზრდელად. დაინტერესებული მხარეების ინტერესები დროულად უნდა იქნას გათვალისწინებული ჰიდროელექტროსადგურის შეფასების პროცესში;
- შპს „ბახვი 2" ყველა ღონეს გამოიყენებს, რათა უზრუნველყოს მოქმედი ეროვნული და ადგილობრივი დასაქმების კანონებთან შესაბამისობა; უარი თქვას იძულებითი შრომის ნებისმიერი ფორმით გამოყენებაზე; არ დაუშვას ბავშვთა შრომა; გადაიხადოს ხელფასი, რომელიც მინიმუმ აკმაყოფილებს ან აღემატება ინდუსტრიის ან ნორმატიულ ეროვნულ მინიმუმს; სამართლიანად მოექცეს თანამშრომლებს, დაწინაურების, დასაქმებისა და წარმომადგენლობის საკითხებში, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, პოლიტიკური შეხედულებისა, სექსუალური ორიენტაციის, ასაკის, რელიგიის, სოციალური ან ეთნიკური წარმომავლობის ან აივ სტატუსის მიუხედავად; დაუშვას სამუშაო ადგილზე საკონსულტაციო სტრუქტურებისა და ასოციაციების შექმნა, რომლებიც თანამშრომლებს მისცემენ შესაძლებლობას გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები მენეჯმენტთან დაკავშირებულ საკითხებზე; ხოლო დისტანციური საქმიანობის შემთხვევაში, რომელიც მოიცავს პერსონალის დროებით გადაადგილებას, უზრუნველყოს მათი ხელმისაწვდომობა შესაფერის საცხოვრებელსა და საჭირო სერვისებზე;
- ინვესტორის წარმომადგენელს უნდა მიეწოდოს ოფიციალური შეტყობინება ნებისმიერი არსებითი სოციალური, შრომითი, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ან გარემოსდაცვითი ინციდენტის შესახებ ინციდენტის დაფიქსირებიდან არაუგვიანეს 48 საათისა. არსებითი ინციდენტი წარმოადგენს ნებისმიერ მოვლენას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს (არ შემოიფარგლება) ფატალურ შემთხვევას, სერიოზულ ფიზიკურ დაზიანებას, გარემოზე ან ადგილობრივ მოსახლეობაზე მნიშვნელოვან ზემოქმედებას, ეროვნული ან ადგილობრივი კანონმდებლობის არსებით დარღვევას, ან ნებისმიერ სხვა

გარემოებას, რომელიც შესაძლოა ახდენდეს მნიშვნელოვანი რისკის წარმოქმნას ჰიდროელექტროსადგურის სოციალურ ან გარემოსდაცვით შედეგებზე, სამართლებრივ შესაბამისობასა და/ან დაინტერესებული მხარეების ინტერესებზე.

- მნიშვნელოვანი ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ინციდენტის ან გარემოზე არსებითი ზემოქმედების აღმოჩენისთანავე, ჰოლდინგი დაუყოვნებლივ უნდა იქნას ინფორმირებული. ამგვარი ინციდენტის დაფიქსირების შემთხვევაში, აღნიშნული ინფორმაცია დაუყოვნებლივ უნდა წარედგინოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრულ შესაბამის სახელმწიფო უწყებას. შესაძლებლობისთანავე, შპს „ბახვი 2“-ს ეკისრება ვალდებულება წარადგინოს ყოველი შემთხვევის დეტალური ანალიზი, რაც უნდა მოიცავდეს: ინციდენტის სახის განსაზღვრას (ინციდენტი, უბედური შემთხვევა ან სხვა შესაბამისი გარემოება), მისი შედეგებით გამოწვეული ან მოსალოდნელი ზეგავლენის აღწერას, ასევე იმ ღონისძიებების შეჯამებას, რომლებიც გატარდა ან დაგეგმილია ინციდენტის აღმოსაფხვრელად, შედეგების შემცირებისა და მსგავსი შემთხვევების სამომავლო პრევენციისათვის.

  გარდა ამისა, ჰოლდინგის წარმომადგენელი რეგულარულად უნდა იყოს ინფორმირებული აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების პროგრესისა და მიმდინარე მდგომარეობის შესახებ.
- მოცემული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა და კომპანიის გარემოსდაცვითი პოლიტიკა მჭიდროდ არის ინტეგრირებული ერთმანეთთან. აღნიშული დოკუმენტები განიხილება როგორც ერთობლივი და წარმოადგენს ჩვენი მდგრადი განვითარების მიდგომის უმნიშვნელოანეს ასპექტს. ორივე პოლიტიკა წარმოაჩენს შპს "ბახვი 2"-ის პასუხისმგებლობას გარემოსდაცვითი მმართველობის, სოციალური პასუხისმგებლობისა და ძლიერი მმართველობითი პრაქტიკებისადმი, უზრუნველყოფს ეროვნულ რეგულაციებთან შესაბამისობას და საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკების დაცვას.

მექრთამეობისა და კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა

შპს „ბახვი 2“ მოწოდებულია წარმართოს საკუთარი ბიზნესი მაქსიმალური პატიოსნებით, კეთილსინდისეერებით, მექრთამეობისა და ანტიკორუფციული კანონებისადმი ერთგულებით.

აღნიშნული ვალდებულება ვრცელდება შესაბამისი კანონმდებლობის დაცვაზე, მათ შორის საქართველოში არსებულ შესაბამის კანონმდებლობაზე. თუკი ადგილობრივი კანონმდებლობა უფრო მკაცრ მოთხოვნებს აწესებს, ვიდრე კომპანიაში დანერგილი მოწმედი წესები, უპირატესობა ენიჭება უფრო მკაცრ რეგულაციას.

ქრთამის აღება და კორუფციული გარიგებები მკაცრად აკრძალულია. მოცემულ კონტექსტში "ქრთამი" მოიცავს ღირებულებას, სესხს, ჯილდოს ან სარგებლის ნებისმიერ ფორმას, რომელიც შეთავაზებულია, დაპირებულია, გაცემულია ან მიღებულია პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი ინდივიდის მიერ. თუკი შეთავაზება წინასწარ განზრახულია იმ მიზნით რომ აიძულოს პირი განახორციელოს გარკვეული ქმედება, ან პირიქით თავი შეიკაოს კონკრეტული ვალდებულების შესრულებისაგან, ან პირმა მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება ან მოიპოვოს არაკანონიერი ინფორმაცია, ან მიიღოს არასათანადო სარგელი, სხვა კომპანიის ან/და მესამე მხარის სასარგებლოდ. "კორუფცია" არის ძალაუფლების ან თანამდებობის ბოროტად გამოყენება, პირადი საგებლის მიღების მიზნით.

დაუშვებელია

შპს „ბახვი 2“-ის სამუშაო არეალი გამორიცხავს შემდეგ საქმიანობას:

- წარმოება ან საქმიანობა, რომელიც მოიცავს იძულებით ან ბავშვთა შრომას;
- ნებისმიერი პროდუქტის ან საქმიანობის წარმოება ან ვაჭრობა, რომელიც უკანონოდ

ითვლება ქვეყნის კანონებითა და რეგულაციებით ან საერთაშორისო კონვენციებითა და შეთანხმებებით, ან ექვემდებარება ეტაპობრივად შეწყვეტის აკრძალვებს, როგორიცაა:

- ველური ბუნების ან ცხოველების სახეობები, რომლებიც დაცულია ''გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ ''კონვენციით.
- არამდგრადი სათევზაო პრაქტიკა, როგორიცაა აფეთქებით თევზაობა და საზღვაო ბადეებით თევზაობა 2,5 კმ-ზე გრძელი ბადეების გამოყენებით;

- ველური ბუნებით ან ველური ბუნების პროდუქტებით ვაჭრობა, რომელიც რეგულირდება ველური ფლორისა და ფაუნის საერთაშორისო ვაჭრობის კონვენციით;
- მიწის ან უძრავი ქონების ინვესტიციები გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ისინი პირდაპირ კავშირშია პროექტებთან (მაგალითად, მიწის ნაკვეთი ელექტროსადგურის მშენებლობისთვის);
- წარმოება ან საქმიანობა, რომელიც გავლენას ახდენს ადგილობრივი მოსახლეობის საკუთრებაში არსებულ ან განაჩენის საფუძველზე მოპოვებულ მიწაზე, ასეთი ადამიანების მხრიდან სრული წერილობითი თანხმობის გარეშე;
- ტოქსიკური ნარჩენების გადამუშავება;
- ტოტალიზატორი და აზარტული თამაშები;
- ნარჩენებითა და ნარჩენპროდუქტებთ საზღვარგარეთ ვაჭრობა;
- მაღალი საკონსერვაციო ღირებულების ტერიტორიის განადგურება.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპები

შპს „ბახვი 2“ ყველა ღონეს გამოიყენებს, შემდეგი გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პრინციპების დასაცავად:

- მოქმედი კანონების დაცვა;
- უარყოფითი ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანა;
- დადებითი ეფექტების გაძლიერება;
- უწყვეტი სწრაფვა გაუმჯობესებისკენ;
- საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკისა და სტანდარტების დანერგვის მზაობა;
- გარემოსდაცვითი და სოციალური მენეჯმენტის სისტემის გამოყენება, რისკების ეფექტურად მართვისათვის და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების აღსრულებისათვის.

შპს „ბახვი 2“-ის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი ინიციატივები მიზნად ისახავს დადებითი ზემოქმედების შექმნას, კერძოდ კი:

- ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული ადამიანების ცხოვრების დონისა და დასაქმების გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;
- ჰიდროელექტროსადგურის კორპორატიული მმართველობის გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;
- პროექტების და მათ მიმდებარედ მცხოვრები თემების გარემოსდაცვითი სტანდარტების შემუშავებასა და გაუმჯობესებაში წვლილის შეტანა;
- ჰიდროელექტროსადგურის უარყოფითი ზემოქმედებისშემცირება საზოგადოებაზე.

გარემოსდაცვით პოლიტიკასთან ინტეგრაცია

შპს “ბახვი 2” პასუხისმგებლობას იღებს ყოვლისმომცველი გარემოსდაცვითი პოლიტიკის განხორციელებაზე, რომელიც სრულად შეესაბამება კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი (ESG) ვალდებულებებს.

ეს მიდგომა უზრუნველყოფს მდგრადი განვითარების სტრატეგიულ და ჰარმონიზებულ მიდგომას, რომელიც აერთიანებს გარემოსდაცვითი მართვის, სოციალური პასუხისმგებლობისა და მმართველობითი სტანდარტების დაცვას. კომპანიის ESG პოლიტიკა და გარემოსდაცვითი პოლიტიკა მჭიდროდ არის ინტეგრირებული, ამიტომ მათი ერთობლივი განხილვა

მნიშვნელოვანია კომპანიის მდგრადი განვითარების ხედვის სრულყოფილად გასაგებად.

გარემოსდაცვით პოლიტიკაში განსაზღვრული მიზნები სრულად შეესაბამება გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებს (UN SDGs), რაც კომპანიის გლობალური მდგრადობისადმი ერთგულებას უსვამს ხაზს. აღნიშნული მიზნების ბიზნეს ოპერაციებში ინტეგრირებით, შპს "ბახვი 2" ხელს უწყობს კლიმატური ცვლილებების შემარბილებელი ღონისძიებების დანერგვას, რესურსების ეფექტიან მართვასა და სოციალური კეთილდღეობის გაუმჯობესებას, საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ამ ინტეგრაციის საშუალებით, შპს "ბახვი 2" კიდევ უფრო აძლიერებს თავის ვალდებულებას ჰიდროენერგეტიკის მდგრადი ოპერირებისა და გარემოსდაცვითი რეგულაციების დაცვის მიმართ. კომპანია უზრუნველყოფს გამჭვირვალე და სანდო ანგარიშგებას, რათა კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტრატეგია დარჩეს გაზომვადი, შედეგზე ორიენტირებული და გლობალურ სტანდარტებთან სრულ შესაბამისობაში.

გარემოსდაცვითი სოციალური და მმართველობითი მიზნები, ძირითადი შესრულების მაჩვენებლები (KPIs) და ვადები

შპს "ბახვი 2" პასუხისმგებლობას იღებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პროგრესის მიღწევაზე მკაფიო და გაზომვადი მიზნების საშუალებით. კომპანია ასევე ანგარიშვალდებულებისა და უწყვეტი განვითარების პასუხისმგებლობას.

გაეროს გლობალური შეთანხმების წევრობის ფარგლებში, შპს "ბახვი 2" საკუთარ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ძალისხმევას გაეროს მდგრადი განვითარების მიზნებსაკენ მიმართავს და განსაზღვრავს კონკრეტულ გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით მიზნებსა და ძირითად შესრულების მაჩვენებლებს (KPIs). სწორედ ეს ყოველივე უდევს საფუძვლად კომპანიის მდგრადი განვითარების სტრატეგიის ფორმირებასა და შესრულებას.

მოცემული მიზნები უზრუნველყოფს კომპანიის გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესებას, სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერებას და მაღალი მმართველობითი სტანდარტების დაცვას, რაც ხელს უწყობს ბიზნესის მდგრად განვითარებას.

გარემოსდაცვითი მიზნები

- ნახშირბადის ნაკვალევის შემცირება: მშენებლობის ეტაპზე ჩვენ ვიღებთ ვალდებულებას, მინიმუმამდე დავიყვანოთ ნახშირბადის ემისიები საწვავის მოხმარების ოპტიმიზაციით, არასაჭირო ემისიების შემცირებითა და ენერგოეფექტური სამშენებლო პრაქტიკის ინტეგრირებით. ჩვენ პრიორიტეტს ვანიჭებთ მდგრადი მასალების გამოყენებასა და გონივრულ ლოგისტიკას, რათა შევამციროთ გარემოზე საერთო ზემოქმედება. მშენებლობის დასრულებისა და ოპერირების ფაზაზე გადასვლის შემდეგ, კომპანია ყურადღებას გაამახვილებს პირდაპირი (Scope 1), არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირდაპირი (Scope 3) ემისიების სისტემურ შემცირებაზე. აღნიშნული უზრუნველყოფილი იქნება ელექტროენერგიის მოხმარების ოპტიმიზაციის, ოპერირების ეფექტიანობის ამაღლებისა და განახლებადი ენერგიის წყაროების სისტემური ინტეგრაციის გზით, რაც წარმოადგენს კომპანიის გრძელვადიანი ნახშირბადნეიტრალური განვითარების სტრატეგიის საფუძველს.

  პროგრესის მონიტორინგი და შეფასება განხორციელდება რეგულარულად, ხოლო მონაცემები ყოველწლიურად დაფიქსირდება, რათა უზრუნველვყოთ შუალედური მიზნების შესრულების კონტროლი და შესაბამისობა 2030 წლისთვის ნახშირბადის ემისიების შემცირების სტრატეგიულ ვალდებულებებთან.
- ემისიების მართვის გაფართოება: პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2)

ემისიების გარდა, შპს "ბახვი 2" აქტიურად აფასებს და ცდილობს შეამციროს სხვა არაპირაპირი (Scope 3) ემისიები. განსაკუთრებული ყურადღება მახვილდება მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებულ არაპირდაპირ ემისიებზე, რაც კომპანიის ნახშირბადის შემცირების ზოგადი სტრატეგიის გაძლიერებას ემსახურება. მშენებლობის ეტაპზე ჩვენ ვალდებულებას ვიღებთ მინიმუმამდე დავიყვანოთ ემისიები რესურსების გამოყენების ოპტიმიზაციით, საწვავის მოხმარების შემცირებითა და მდგრადი შესყიდვების პრაქტიკის დანერგვით, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს მიწოდების ჯაჭვთან დაკავშირებული ემისიების შემცირებას. ჩვენ ვაფასებთ და ვმართავთ გარემოზე არაპირდაპირ ზემოქმედებას, რათა შევამციროთ ემისიები და დავიცვათ შესაბამისობა კომპანიის ნახშირბადის შემცირების გეგმასთან. მშენებლობის დასრულებისა და ოპერირების ეტაპზე გადასვლის შემდეგ კომპანია გააგრძელებს პირდაპირი (Scope 1) და არაპირდაპირი (Scope 2) და სხვა არაპირაპირი (Scope 3) ემისიების აღრიცხვასა და შემცირებას. ეს მოიცავს მიწოდების ჯაჭვზე ზემოქმედების და სხვა არაპირდაპირი ემისიების მართვას, რაც ხელს შეუწყობს ნახშირბადის ემისიების სართო შემცირებას და კომპანიის გრძელვადიანი მდგრადობის მიზნების მიღწევას.

- ენერგოეფექტურობის გაუმჯობესება: მდგრადობისადმი ჩვენი ერთგულების ფარგლებში, მშენებლობის ეტაპზე ვდგამთ აქტიურ ნაბიჯებს გარემოზე ზემოქმედების შესამცირებლად ენერგოეფექტური პრაქტიკების დანერგვით, სამუშაო პროცესების ოპტიმიზაციითა და თანამედროვე ტექნოლოგიების ინტეგრირებით. გარდა ამისა, პრიორიტეტს ვანიჭებთ ეკოლოგიურად სუფთა და მდგრადი სამშენებლო მასალების გამოყენებას, რაც ხელს უწყობს ჰიდროელექტროსადგურის საერთო ნახშირბადის ემისიების რაოდენობის შემცირებას. ოპერირების ფაზაზე გადასვლის შემდეგ, ჩვენი მთავარი მიზანი იქნება ენერგოეფექტიანობის გაძლიერება ყველა შიდა პროცესში. ჩვენი მიდგომა ეფუძნება ელექტროენერგიის მოხმარების გონივრულ მართვასა და განახლებადი ენერგიის წილის ზრდას, რათა უზრუნველვყოთ პასუხისმგებლიანი, მდგრადი და მომავალზე ორიენტირებული განვიტარება.

- მდგრადი წყლის მართვა: ჩვენ ვირჩევთ პასუხისმგებლიან მიდგომას წყლის რესურსების მართვაში, რაც გულისხმობს მკაცრი კონტროლის მექანიზმების დანერგვას წყლის დანაკარგის შემცირებისა და დაბინძურების პრევენციისათვის. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა სამშენებლო პროცესში წარმოქმნილი ჩამდინარე წყლების სწორ მართვას, რათა თავიდან ავიცილოთ უარყოფითი ზემოქმედება მდინარეზე.

  ჰიდროელექტროსადგურის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ, ჩვენ სრულად დავიცავთ ეკოლოგიური ხარჯის მოთხოვნებს და დავნერგავთ გრძელვადიანი წყლის რესურსების მართვას მონიტორინგის სისტემებს. აღნიშნული მოიცავს წყლის დანაკარგის შემცირებასა და ადგილობრივი ეკოსისტემების დაცვას, რათა წყლის რესურსების გამოყენება დარჩეს ეკოლოგიურად დაბალანსებული და მდგრადი.

- გარემოზე ზემოქმედების შემცირება: შპს „ბახვი 2" ჰიდროელექტროსადგურის განხორციელების თითეეულ ეტაპზე მიზანმიმართულად ისწრაფვის გარემოზე ზემოქმედების მინიმუმამდე დაყვანისკენ. კომპანია სრულად არის მიმართული იმ პრაქტიკების დანერგვაზე, რომლებიც უზრუნველყოფს გარემოსდაცვითი რისკების შემცირებასა და მდგრადი განვითარების პრინციპების დაცვას. მშენებლობის ეტაპზე ტარდება სრულფასოვანი ბიომრავალფეროვნების კვლევები, რომლებიც მიზნად ისახავს სხვადასხვა ცხოველების (მათ შორის ძუძუმწოვრების, ფრინველების, ქვეწარმავლებისა და ამფიბიების), მათი ჰაბიტატებისა და მცენარეთა სახეობებზე შესაძლო ზემოქმედების შეფასებას. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა დაცული სახეობების იდენტიფიცირებასა და მათზე ზემოქმედების მინიმუმანდე დაყვანას, განსაკუთრებით იმ სახეობებისა, რომლებიც შეტანილია ბუნების დაცვის საერთაშორისო კავშირის (IUCN) წითელ ნუსხასა და საქართველოს წითელ წიგნში. კვლევების მიზანია

ჰიდროელექტროსადგურის გავლენის არეალში უზრუნველყოს ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია.

- გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმისა და გარემოზე ზემოქმედების შეფასების დოკუმენტის ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესაბამისად, პერიოდული კვლევები ტარდება მდ.ბახვისწყლის ბიომრავალფეროვნების შესაფასებლად, რათა ადგილობრივი წყლის რესურსები იყოს დაცული და პროექტმა არ მოახდინოს უარყოფითი გავლენა ჰიდროლოგიურ ბალანსზე. ამავე მიდგომით ტარდება გეოლოგიური კვლევები ნიადაგის სტაბილურობასთან დაკავშირებული გარემოსდაცვითი რისკების შესაფასებლად და სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად.

  მუდმივი მონიტორინგი ხორციელდება ჰაერის ხარისხზე, მტვერსა და ვიბრაციაზე, რათა შეფასდეს მშენებლობის ზემოქმედება გარემოსა და ადგილობრივ მოსახლეობაზე. თითოეული შეფასება ტარდება გარემოსდაცვითი მონიტორინგის გეგმის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრავს კვლევის ფარგლებს, სიხშირეს, და მეთოდოლოგიას. კვლევები ხორციელდება დამოუკიდებელი მესამე მხარის სპეციალისტების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს ობიექტურობა, ტექნიკური სიზუსტე და შესაბამისობა როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო გარემოსდაცვით სტანდარტებთან.

  გარემოსდაცვითი რისკების შესამცირევლად, პროექტში ინტეგრირებულია საერთაშორისო საკონსულტაციო კომპანიების მიერ შემუშავებული შემარბილებელი ღონისძიებები. მშენებლობის პერიოდში გარემოსდაცვითი, სოციალურ და მმართველობის საკითხების გუნდი ახორციელებს ყოველდღიურ მონიტორინგს სამშენებლო პერიმეტრზე აღნიშნული ზომების სწორად განხორციელებისა და ნებისმიერი უარყოფითი ზემოქმედების შემცირების უზრუნველსაყოფად.

  ბახვი 2 ჰესის ექსპლუატაციაში გაშვების შემდეგ გაგრძელდება იგივე მკაცრი მიდგომების გატარება გარემოს დაცვის უზრუნველსაყოფად. გაგრძელდება წყლის ბიომრავალფეროვნების, ასევე გეოლოგიური სტაბილურობის მონიტორინგი, რათა შესაძლო ზემოქმედება შეფასდეს და საჭიროების შემთხვევაში გატარდეს შემარბილებელი ზომები.

სოციალური მიზნები

- ადგილობრივ მოსახლეობასთან აქტიური ჩართულობის უზრუნველყოფა: შპს "ბავხი 2" პრიორიტეტს ანიჭებს ღია და გამჭვირვალე კომუნიკაციას დაინტერესებულ მხარეებთან. კომპანია მათთან რეგულარულად მართავს შეხვედრებს - საინფორმაციო სახის, არაფორმალური შეხვედრები ყოველთვიურად ტარდება, ხოლო ოფიციალური შეხვედრები წელიწადში მინიმუმ ორჯერ, დადგენილი ფორმატით იმართება
- დაინტერესებული მხარეების გაძლიერება: ჩვენ პირნათლად ვანხორციელებთ საჩივრების განხილვის მექანიზმს, რათა ყველა საკითხი განხილული იყოს მკაფიოდ განსაზღვრულ ვადებში, რაც ხელს უწყობს დაინტერესებულ მხარეებთან ნდობისა და ანგარიშვალდებულების გაღრმავებას;
- თანამშრომლების კეთილდღეობის უზრუნველყოფა: შპს "ბახვი 2" აღიარებს, რომ მისი წარმატება უშუალოდ თანამშრომელთა კეთილდღეობაზეა დამოკიდებული. კომპანია პასუხისმგებლობას იღებს ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების ყოველწლიური ტრენინგების ჩატარებაზე, უზრუნველყოფს 100%-იან ჩართულობას და მუდმივად აუმჯობესებს სამუშაო გარემოსა და პირობებს, რათა თითოეულ თანამშრომელს ჰქონდეს ნორმებთან შესაბამისი, უსაფრთხო, განვითარებაზე ორიენტირებული სამუშაო სივრცე;
- ადგილობრივი თემების გაძლიერება მდგრადი მომავლისთვის: შპს "ბახვი 2"-ის მიერ შემუშავებული სოციალური პროგრამა, რომელიც ჰიდროელექტროსადგურის ზემოქმედების არეალში ხორციელდება, ადგილობრივი თემის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებასა და გრძელვადიანი დადებითი ცვლილებების უზრუნველყოფას ისახავს

მიზნად. თითოეული ინიციატივა მიმართულია ახალი შესაძლებლობების შექმნაზე, ადამიანების გაძლიერებასა და მომავალი თაობისთვის მდგრადი განვითარების უზრუნველყოფაზე.

ჩვენ მოწოდებულნი ვართ, გავაუმჯობესოთ განათლების ხარისხი აუცილებელი რესურსების მიწოდებით, სტიპენდიებითა და სასწავლო-საგანმანათლებლო პროცესის მხარდასაჭერი პროგრამებით. ჩვენი სოციალური პროგრამა ვრცელდება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზეც. უზრუნველვყოფთ მათ ყოველთვიურ ფინანსურ მხარდაჭერას და პროცესებში სრულფასოვან ჩართულობას.

სოციალური პროგრამის ფარგლებში ყურადღება ექცევა მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას, მათ შორის გზების განახლებასა და სასმელი წყალმომარაგების სისტემის გაუმჯობესებას, რაც ხელს უწყობს თემის განვითარებას.

განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ქალთა გაძლიერებას - სპეციალური პროგრამების მეშვეობით ვაუმჯობესებთ მათ უნარებს, ვზრდით შესაძლებლობებს და ხელს ვუწყობთ მათ პროფესიულ წინსვლასა და ლიდერულ პოზიციებზე გაძლიერებას.

შპს "ბახვი 2"-ის მხარდაჭერას იღებენ ადგილობრივი მეწარმეები ტრენინგებისა და ფინანსური დახმარების სახით, რათა ხელი შევუწყოთ დასაქმებას, ეკონომიკურ ზრდასა და მდგრადი საარსებო წყაროების განვითარებას.

ამ ინიციატივებით ჩვენ არა თუ ვპასუხობთ დღეს არსებულ საჭიროებებს, არამედ ვქმნით მომავლის ხედვას, სადაც თითოეულ ადამიანს ეძლევა ღირსეულად განვითარების შესაძლებლობა. ჰიდროელექტროსადგურის მიზანი მთელი თემისთვის გრძელვადიანი პოზიტიური ცვლილებების ხელშეწყობაა.

მმართველობითი მიზნები

- კომპანიის პოლიტიკების დინამიურობა და აქტუალობა: შპს "ბახვი 2" პასუხისმგებლობას იღებს გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის ყოველწლიური გადახედვისა და განახლების უზრუნველყოფაზე, რათა ის შეესაბამებოდეს განვითარებად კარგ პრაქტიკებს. პოლიტიკის განახლებები ეფუძნება დაინტერესებულ მხარეებისგან მიღებულ უკუკავშირს და გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი სტანდარტების დახვეწას.
- კომპლექსური შესაბამისობა და ეთიკის დაცვა: კომპანია ერთგულია გარემოსდაცვითი და შრომითი კანონმდებლობის სრული დაცვის, ასევე საერთაშორისო გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ჩარჩოებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართ. ეს მიდგომა პასუხისმგებლიან და ეთიკაზე დაფუძნებულ ბიზნეს საქმიანობას უწყობს ხელს.
- გამჭვირვალე და მონაცემებზე დაფუძნებული ანგარიშგება: შპს "ბახვი 2" ყოველწლიურად გამოაქვეყნებს გარემოსდაცვით, სოციალურ და მმართველობით ანგარიშს, რომელიც წარმოაჩენს კომპანიის მდგრადობის მაჩვენებლებს მკაფიო და მონაცემებზე დაფუძნებული მიდგომით. ანგარიშგება დაეფუძნება დადგენილ ძირითად შესრულების მაჩვენებლებს (KPIs), რაც ხელს უწყობს გამჭვირვალე კომუნიკაციასა და ანგარიშვალდებულებას.

გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკის წლიური გადახედვის პროცესი

საერთაშორისოდ აღიარებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი საკითხების კარგი პრაქტიკებისა და სტანდარტების შესაბამისად, ყოველი წლის ბოლოს, კომპანიის მიერ გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა სრულყოფილად გადაიხედება. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს კომპანიის გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი მენეჯერი და უზრუნველყოფს, რომ გამოქვეყნებული ინფორმაცია ზუსტად ასახავს მიმდინარე შეფასებებს, შესრულების მაჩვენებლებსა და ოპერირების პრაქტიკებს.

ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, განახლებული დოკუმენტაცია გადის მკაცრ დამტკიცების პროცესს. თავდაპირველად, შემოთავაზებული ცვლილებები გადაეცემა კომპანიის დირექტორს, რევიზიისა და დამტკიცებისათვის. დირექტორის ვალიდაციის შემდეგ, დოკუმენტაცია ეგზავნება კავკასიის განახლებადი ენერგიის ჰოლდინგის (CCEH) გარემოსდაცვითი, სოციალური, მმართველობითი და მდგრადობის ხელმძღვანელს, საბოლოო რევიზიისა და დამტკიცებისათვის. ასეთი მიდგომა უზრუნველყოფს, რომ თითოეული ცვლილება ასახავს მაღალი ხარისხის სტანდარტებს, გამჭვირვალობას და რეგულაციების მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობას.

სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ინფორმირებული არიან ცვლილებების შესახებ, რაც აძლიერებს ჩვენს ვალდებულებას შევინარჩუნოთ მაღალი საერთაშორისო სტანდარტები.

კომპანიის განახლებული გარემოსდაცვითი, სოციალური და მმართველობითი პოლიტიკა საჯაროდ ხელმისაწვდომი ხდება კომპანიის ვებგვერდზე. მისი ძველი ვერსია კვლავ ხელმისაწვდომი რჩება ვებ გვერდზე, არქივის განყოფილებაში.